მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

1.შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და წარმოადგენს სწავლა-სწავლების განუყოფელ ნაწილს.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;

გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

1. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმავითარებელი შეფასება:

ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;

ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.

მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა და ჩართულია შეფასებისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში.

განმავითრებელი შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი (იხ. დანართი 3)

I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე ფასდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სამივე საფეხურზე.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებია: შემაჯამებელი დავალება, საკლასო დავალება და საშინაო დავალება.

V კლასის მე-2 სემესტრსა და VI კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. VII-XII კლასებში მოსწავლე ფასდება სამივე კომპონენტში.

შემაჯამებელი დავალების რაოდენობა არის ყველა საგანში სემესტრში 2. სემესტრის შუალედური შემაჯამებელი და სემესტრის ფინალური შემაჯამებელი. შემაჯამებელი დავალებას აქვს წერითი სახე და დავალება მოიცავს ფაქტებზე ორიენტირებული შეკითხვებს

ქულების მაქსიმუმ 40% და ქულების მინიმუმ 60% წარმოადგენს პროცედურული და ფუნქციური ცოდნის განმსაზღვრელ დავალებებს. ორივე შემაჯამებელი დავალება (სემესტრული შუალედური და სემესტრული ფინალური შემაჯამებელი) მოსწავლისათვის სავალდებულოა.
მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით დონეების მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით. საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს. შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება. ასახელებს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, ირჩევს მათგან ოპტიმალურს და ასაბუთებს არჩევანს.
9		
8	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად, იაზრებს კავშირს რამდენიმე ასპექტს შორის, ცდილობს გააანალიზოს საკითხები მიზეზ- შედეგობრივი კუთხით.
7		
6	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით. უჭირს სხვადასხვა ასპექტს შორის კავშირების დამყარება, საკუთარი აზრს არგუმენტირებულად დასაბუთება
5		
4-1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.
განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული.
არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (ზეპირი ფორმით).

2. განმსაზღვრელი შეფასების სახეობები

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში. სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

ბ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

დ) საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

8. კლასის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების ნაწილში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში (ახალ თაობაში გადმოსვლის დროს), სკოლა ადგენს მოსწავლის მიერ გავლილი საგნების შესაბამისობას ახალ თაობაში მოქმედ საათობრივ ბადესთან. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ აქვს გავლილი ის საგანი, რომელიც უნდა ისწავლოს ახალ თაობაში და სკოლაში აღნიშნული საგნის სწავლება მოსწავლის გადმოსვლის მომენტში უკვე დაწყებულია, სკოლა ადგენს მოსწავლეზე მორგებულ სპეციალურ გეგმას და მოსწავლეს საშუალებას აძლევს დაჩქარებული წესით დაძლიოს მასალა.
3. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე.
4. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
3. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება წინა პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

10. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**
- **სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა;**

10.1 საშემოდგომო გამოცდა და რემედიაციის პროგრამა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში.
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას[1] თითოეული მოსწავლისათვის.
3.რემედიაციის პროგრამას დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა სთავაზობს იმ მოსწავლეებსაც, როლებსაც სემესტრის განმავლობაში შეექმნათ სირთულეები კონკრეტულ საგანში კონკრეტული თემის/საკითხის/ შესწავლისას ან/და მობილობით გადმოსული მოსწავლეებს იმ შემთხვევაში თუ მათ არ აქვთ იმ საგნის წინმსწრები მასალა გავლილი, რომლის გავლაც უწევთ სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში.
4. რემედიაციისას საგნის შინაარსს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვარვს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

5. საშემოდგომო გამოცდაზე მიღებული ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.
6. სკოლში საშემოდგომო გამოცდები ჩატარდება წერილობითი ფორმით სასწავლო წლის დასრულებიდან 4 კვირაში ან/და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე (საშემოდგომო გამოცდის კონკრეტული ვადები დამოკიდებულია მოსწავლის მიერ რემედიაციით განსაზღვრული პროგრამის დაძლევაზე და სხვა ობიექტურ გარემოებებზე, რომლის შესახებაც მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განაცხადებს). საშემოდგომო გამოცდაზე მოსწავლეს ეძლევა დავალება, რომელიც იძლევა როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე პროცედურული და ფუნქციური ცოდნის შეფასების საშუალებას.

10.2 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე,

[1] რემედიაციის პროცესს წინ უსწრებს დიაგნოსტირების პროცესი, რომლითაც განისაზღვრება მოსწავლის საჭიროებები. პროგრამა ორიენტირებული იქნება თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომელსაც სკოლა დამრიგებლისა და მშობელთა აქტიური ჩართულობით განახორციელებს რემედიატორი მასწავლებლის საშუალებით. რემედიაციის დროს ხდება კონკრეტული აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემების შემცირება ან აღმოფხვრა.

ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

10.3 სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა

1. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი ხდება გამოცდაზე მიღებული ნიშანი. გამოცდაზე მოსწავლე აბარებს სემესტრის მანძილზე გავლილ პროგრამას სრულად. სემესტრული გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. დავალებები მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია, როგორც ფაქტებზე, ასევე პროცედურული და ფუნქციური ცოდნის შესაფასებელ დავალებებს. დავალებაში მინიმუმ 60% ღია დავალებებია და მაქსიმუმ 40% დახურული.
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

დიაგნოსტიკური წერები

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ჩატარდება დიაგნოსტიკური წერები (II-XII კლასებში შესაბამისი სასწავლო საგნების მიხედით) რომლითაც შეფასდება მოსწავლის მიერ სტანდარტით განსაზღვრული შედეგის ფლობის დონე. დიაგნოსტიკური წერები ჩატარდება საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა
- მათემატიკა
- ისტორია
- გეოგრაფია
- უცხოური ენები (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)
- ფიზიკა
- ქიმია
- ბიოლოგია
- ბუნებისმეტყველება
- მოქალაქეობა
- ჩვენი საქართველო

დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.

დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, საფეხურის სტანდარტთან მიმართებით. პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.